საექსპერტო დასკვნა

<u>ანგარიშზე:</u> „ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №21, ს.კ. 01.15.05.061.017 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით“.

ჩვენს მიერ, 2018 წლის 29 ივნისს შემოწმებული იქნა „ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №21, ს.კ. 01.15.05.061.017 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით“ არსებული სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

<u>შემოწმების მიზანი:</u> დადგინდეს „ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №21, ს.კ. 01.15.05.061.017 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით“ საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

თანახმად შ.პ.ს. „ასტორია“-ს მიმართვისა ინჟინერ-გეოლოგი თ. მეტრეველის მიერ, მიმდინარე წლის ივლისის თვეში შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული ტერიტორია მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ლაბორატორიული სამუშაოები შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე.

<u>საექსპერტოდ წარმოდგენილია:</u>

1. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
2. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ..... 4 გვ.
3. ცხრილი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესახებ ..... 1 გვ.
4. ცდები კომპრესიაზე ..... 3 გვ.
5. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ..... 3 გვ.
6. ჭაბურღილის სვეტები ..... 1 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც.
8. ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.

პროექტით გათვალისწინებულია მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა (კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II).

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე დასაპროექტებელი შენობის კონტურის ფარგლებში გაიბურღა 3 ჭაბურღილი, საერთო ჯამური სიღრმით - 45.0გრძ/მ. თითოეული ჭაბურღილი სიღრმით - 15.0მ. გაყვანილი 3 ჭაბურღილიდან აღებული და ლაბორატორიაში გამოსაკვლევად ჩაბარებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 12 ნიმუში.

ბურღვა წარმოებდა საბურღი დაზგით „ურბ-A2A 1ვს“-ით მექანიკური-სვეტური ბურღვის მეთოდით, საწყისი 127დიამეტრის მილებით, ჩარეცხვის გარეშე, მშრალი ბურღვის წესით, შემცირებული რეისით.

ბურღვითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, თანახმად ინსტრუქციისა, ჭაბურღილები ამოივსო განაბურღი მასალით.

ჩატარებული საველე სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა -1- ნაყარი (tQ_{IV}) - კენჭების, აგურის ნატეხების ჩანართით - თიხნარით შეკავშირებული;

2. ფენა -2- (ს.გ.ე. 1) - მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის მოყავისფრო თიხები(dpQ_{IV});

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგური და გრუნტების საინჟინრო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ტერიტორია მდგრადია, ამჟამად მასზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება და არც მშენებლობის შემდგომ პერიოდშია მოსალოდნელი.

ავტორის რეკომენდაციით გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით, ფუძის გრუნტად გამოყენებულ იქნას ს.გ.ე. 1 – ფენა -2- თიხა. საძირკვლის ტიპად გამოყენებულ იქნას რკინა-ბეტონის ფილა.

საკვლევ უბანზე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა.

საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი უბანი ს.ნ. და წ. 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

საპროექტო-სამშენებლო ნორმატივის - პ.ნ. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ მიხედვით უბნის სეისმურობად მიღებულ უნდა იქნას 8 ბალი.

<u>დ ა ს კ ვ ნ ა:</u> ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები „ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №21, ს.კ. 01.15.05.061.017 ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით“ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის), პ.ნ. 02.01-08 (შენობა-ნაგებობების ფუძეები), პ.ნ. 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგიის აკადემიური დოქტორი,

ინჟინერ-გეოლოგი: /გ. იაშვილი/